n 162/6 PX 4666/1. 2ლ

## ჩვენ ვიცით, როგორ შევქმნათ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემა!







## ჩვენ ვიცით, როგორ ავიხდინოთ ქართული ოცნება!



დამკვეთი: საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება"; თბილისი, ერეკლე II მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქ. №3/36; დამამზადებელი: შპს "კოლორპაკი" თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20. ს/კ 206176109; ტირაჟი: 300000ც; თარიღი: 07-15.09.2012; (29.7სმ X 21სმ ორმხრივი) ერთი სახის სააგიტაციო მასალა.

**შემოგვიერთდი** f You Tube

georgiandream.ge
ტელ: 219 7711

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხარისხიანი ჯანდაცვა ყველას!




**საარჩევნო ბლოკი**
**„ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“**

# ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება

## ხარისხიანი ჯანდაცვა არ არის პრივილეგია, ეს თითოეული ჩვენგანის უფლებაა!

- მოშლილია პირველადი ჯანდაცვის სისტემა
- საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია მინიმალური ჯანდაცვა
- მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები ბევრი ოჯახისთვის სერიოზული პრობლემაა
- არაეფექტიანია უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების არსებული დაზღვევა
- მონოპოლიზებულია სამედიცინო სფერო, განსაკუთრებით ფარმაცევტული და სადაზღვევო ბიზნესი. ეს კი სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების გაძვირებას იწვევს
- განსაკუთრებით დაუცველი არიან ქრონიკული და ონკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანები
- არაეფექტიანი და მონოპოლიზებული სისტემის გამო, დაუცველია ექიმთა უფლებები. მომსახურების სიძვირის მიუხედავად, დაბალია მათი ანაზღაურება

## ჩვენ ამას შევცვლით!

### სახელმწიფო აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე!

- დაზღვეული იქნება საქართველოს ყველა მოქალაქე
- ყველა სოფელს/თემს ექნება ამბულატორია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის
- ყველა რაიონულ ცენტრში გაიხსნება დიაგნოსტიკური ცენტრები, საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები
- მოისპობა მონოპოლიები როგორც ფარმაცევტულ, ისე სადაზღვევო ბაზარზე. მკვეთრად გაიაფდება მედიკამენტები და სამედიცინო მომსახურება
- ჯანდაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებით გაიზრდება მედპერსონალის ანაზღაურება, ექიმებს ექნებათ ღირსეული სამუშაო ადგილი

„საჩხერეში ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებით ისარგებლოს. ჩვენი მიზანია, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს ასეთივე უფლება. ჩვენ შევქმნით ევროპული ტიპის ჯანდაცვის სისტემას, რომელიც სოციალური სოლიდარობის პრინციპებს დაეყრდნობა. სახელმწიფო ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურებით".



### სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური პაკეტით სრულად დაფინანსდება:

- ამბულატორიული მომსახურება (ოჯახის/სოფლის ექიმი და სპეციალისტები)
- მოსახლეობის პროფილაქტიკური გამოკვლევები (სკრინინგი) და იმუნიზაცია (აცრა)
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება
- ჰოსპიტალური მომსახურება (მათ შორის გულის სისხლძარღვთა სტენტირება, შუნტირება)
- ორსულთა მოვლა და მშობიარობა
- უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა (მათ შორის სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია)
- გადაუდებელი სტომატოლოგია
- მედიკამენტები - პირველადი მოხმარების (ესენციური) მედიკამენტები 50%-იანი ფასდაკლებით

### გაორმაგდება შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- დიაბეტის პროგრამა
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა
- ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) დახმარების პროგრამა
- უსაფრთხო სისხლის პროგრამა

### ამასთანავე, დაფინანსდება სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამები:

ტუბერკულოზის, დიალიზისა და თირკმლის გადანერგვის, ნარკომანიის მკურნალობის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, აივ-ინფექცია/შიდსის, იშვიათი დაავადების მქონე ავადმყოფთა მკურნალობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მკურნალობის და სხვა პროგრამები